საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

№ 4/26-09-02 „4" 05 2018 წ

პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების დოკუმენტების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „ა", „ო" და „პ" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 24 აპრილი N392 ბრძანების, საფინანსო დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 01 მაისის №8679/10 კორესპონდენციის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების დოკუმენტების წარმოდგენის ვადები:
2. დოკუმენტები მიიღება 2018 წლის 7 მაისიდან 2018 წლის 11 მაისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, (11 მაისი 10:00-13:00 საათამდე), თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №11 (თსუ მე- 3 კორპუსი, ოთახი № 107).
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმაში არსებული დოკუმენტები **(დანართი N1)**

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 მე-3 კორპუსი 0179 თბილისი, საქართველო
11, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel.
ელ.ფოსტა: psy-edu@tsu.ge; E-mail

4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.
5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის შესაბამის სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი

თამარ გაგოშიძე